ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქუტირის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარის ზურაბ მიქაძის მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი

ქ. ხონი

7 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 დამთავრდა 12:00. სხდომას უძღვებოდა: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ქუტირის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ მიქაძე** შეხვედრას ესწრებოდნენ: სოფ. ქუტირის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე, მერი ლადო ჯურხაძე და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სხდომის მდივანი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანიური რესურსების მართვის განყოფილების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნათია ქურასბედიანი.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, სოფელ ქუტირის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ მიქაძე, ადგილობრივ მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. საკრებულოს წევრი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ანხორციელებდა საკრებულოს ურიდიულ, სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე, აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს რიგგარეშე და მორიგ სხდომებში, საკრებულოს გენდერული საბჭოს სხდომებში და ადგილობრივ თმითმმართველობაში გამართულ სხვადასხვა შეხვედრებში. დეპუტატებმა მოსახლეობას დეტალურად გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ, ისაუბრა საკრებულოს სხდომებზე მის მიერ წამოყენებული წინადადებებისა და ინიციატივების შესახებ. ასევე ყურადღება გაამახვილა იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ, იფრასტრუქტურულ თუ სხვა პრობლემების მოგვარებას გულისხმობს.

გამოიკვეთა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რასთან დაკავშირებითაც დეპუტატმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან ერთად მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს და შესაბამისად ეფექტიან აქტივობებს განახორციელებს.

სხდომის თავმჯდომარე: ზ. მიქაძე ზურაბ მიქაძე

სხდომის მდივანი : ნ. ქ. ნათია ქურასბედიანი